ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2587336

ნომერი: AR1399887

თარიღი : 25.04.2016

გაცემის თარიღი : 11.05.2016

გაცნობის თარიღი : 11.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე./ ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. , (ნაკვეთი N5/5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ხუხაშვილი პ/ნ 01007011144
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

#AR1399887 25.04.2016 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.10.06.011.057 სასტუმროს განთავსების მიზნით დადგენილ #2492862 06.04.2016 – გადაწყვეტილებაში – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები – ცვლილების განხორციელებას, კერძოდ მიწის ნაკვეთზე დატანილი განაშენიანების რეგულირების ხაზის მონაცვლეობას გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების ხაზი დატანილია მთელი აღმაშენებლის ხეივანის გაყოლებაზე (ხეივანის ორივე მხარეს). აღნიშნული შეზღუდვა ემსახურება ერთიანი პრობლემის მოგვარებას, ვინაიდან ტერიტორია ძირითადად დატვირთულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებით, გამზირზე გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის ნაკადების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით ნაკვეთებზე დატანილია განაშენიანების რეგულირების ხაზები შენობა-ნაგებობების წინ ავტოსადგომების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული რეგულაციის ცვლილება ერთეული შემთხვევისთვის ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge